# ბიოეკონომიკაზე დაფუძნებული ტურიზმი: მდგრადი განვითარების მხარდაჭერა

**მაია აზმაიფარაშვილი**
*ეკოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*
*E-mail: maiaazmaiparashvili@gmail.com*
*ORCID: https://orcid.org/0000-0002-7868-5463*

**აბსტრაქტი.** ბიოეკონომიკა მდგრადი განვითარების ტრანსფორმაციულ ძალად ყალიბდება, რომელიც აერთიანებს ეკონომიკის სექტორებს, ბიოტექნოლოგიების ციფრული მიღწევების, ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებთან ინტეგრირებით. ბიოეკონომიკაზე დაფუძნებული ტურიზმის საჭიროებაზე ახალი კონცეფციები და მოდელები მუშავდება, რომელიც აერთიანებს ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას, გარემოსდაცვით და ეკონომიკურ მიზნებს. ბიოეკონომიკა გვთავაზობს გადაწყვეტილებებს, რომლებიც არა მხოლოდ ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას, არამედ ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ბიოეკონომიკის კონცეფცია გულისხმობს ტურისტული სექტორის ისეთ განვითარებას, სადაც მაქსიმალურად გამოიყენება განახლებადი ბიოლოგიური რესურსები და ხდება გარემოს რეგენერაცია. წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს ტურიზმის სექტორის გაანალიზებას ბიოეკონომიკის ჭრილში, როგორც ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა, **კრეატიული ტურიზმის ფორმა**, სადაც აქცენტი არა მხოლოდ ნახვაზე, არამედ ახალი უნარების შეძენასა და თვითგამოხატვაზე კეთდება. სტატიაში განვიხილეთ საქართველოსა და ევროპის რეგიონის ქვეყნების ბიოეკონომიკის სტრატეგიები, დაინტერესებული მხარეების მიერ ბიოეკონომიკაზე დაფუძვნებული ტურიზმის აღქმა და კონცეფციის განვითარებაზე მოქმედი ბარიერები და დამხმარე პირობები.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი; ტურიზმი; ბიოეკონომიკა; კონცეფცია; გამოწვევები.

***

**შესავალი**. ტურიზმი მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის, ინტერაქციული ტურიზმი არა მხოლოდ ინოვაციური ტექნოლოგიების, არამედ სტრატეგიული ინსტრუმენტის სახით ჩნდება, რომელსაც შეუძლია უფრო პასუხისმგებლიანი, რეგენერაციული მოდელების ჩამოყალიბება, რომლებიც 2026 წელს და მის შემდეგ მდგრადი მომავლისკენ იქნება მიმართული. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მანდატი განიხილავს პასუხისმგებლიანი, მდგრადი და უნივერსალურად ხელმისაწვდომი ტურიზმის ხელშეწყობას. 2025-2026 წლებში დაფიქსირებული ტენდენციები მიუთითებს მოგზაურობის ახალი ფორმატებისადმი მზარდ ინტერესზე, რომლებიც ამცირებენ ეკოლოგიურ ნაკვალევს და ამავდროულად მხარს უჭერენ ადგილობრივ ბიოეკონომიკას. ეს მოიცავს კონსერვაციასთან დაკავშირებული დასვენების, საზოგადოების მიერ მართულ ტურისტულ პროგრამებსა და აღიარებული მდგრადი განვითარების ჩარჩოებით სერტიფიცირებული განთავსების საშუალებებს. ამ მოდელზე გადასვლა ქვეყნებს ეხმარება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციასა და სიღარიბის დაძლევაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის რეგიონებში. ეს მოდელი ქმნის "მწვანე სამუშაო ადგილებს" და ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას ტურიზმის სერვისებში.

ბიოეკონომიკისადმი ყურადღების ზრდასთან ერთად, კონცეფციის განსხვავებული გააზრება და ინტერპრეტაცია ჩამოყალიბდა. გამოყენებული იქნა ტერმინები „ბიოზე დაფუძნებული ეკონომიკა“, „ბიოზე დაფუძნებული ტურიზმი“, „ცოდნაზე დაფუძნებული ბიოეკონომიკა“ (KBBE). საბოლოოდ ყველა ეს ტერმინი არსებითად აღწერს ერთსა და იმავე კონცეფციას. ამასთანავე, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) ხელს უწყობს პასუხისმგებლიანი ტურიზმის ზრდის საჭიროებას, რადგან ტურიზმის ინდუსტრია ამჟამად გლობალური განვითარების პოლიტიკის ბირთვია, განსაკუთრებით სოფლის რაიონებში, სადაც სამუშაო ადგილების და შესაძლებლობების შექმნა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა პერსპექტივიდან შემუშავდა რამდენიმე სტრატეგია, რომლებიც ასახავს პრინციპებს და რეკომენდაციებს ბიოეკონომიკაზე გადასვლისთვის. ბიოეკონომიკა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეკონომიკა, რომელიც დაფუძნებულია განახლებადი ბიომასის მდგრად წარმოებასა და ბიოზე დაფუძნებულ პროდუქტებად, ქიმიკატებად და ენერგიად გარდაქმნაზე (De Besi, McCormick, 2015). ევროკავშირში ბიოეკონომიკის სავარაუდო ღირებულება 2.7 ტრილიონი ევროა, მათ შორის საქონელი და მომსახურება ევროკავშირის ბიოტექნოლოგიის სექტორის წლიური ზრდის 18%-იანი ტემპი, რომლის ღირებულება 720 მილიარდ ევროს აღემატება ევროკავშირში ბიოეკონომიკაში შექმნილ ყოველ სამუშაო ადგილზე 2.9 დამატებითი სამუშაო ადგილი იქმნება (EU Bioeconomy Strategy, 2025).

ნაშრომში განვიხილეთ ტურიზმი, როგორც ბიოეკონომიკის ნაწილი, ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა, რომელიც განახლებადი რესურსების გამოყენებას, ეკოსისტემური მომსახურების ეფექტიანი მართვის პრინციპებს ითვალისწინებს. ბიოეკონომიკაზე დაფუძვნებული ტურიზმი აღიქმება, როგორც განახლებადი ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენება, ისეთი ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების შესაქმნელად, რომლებიც ამცირებენ გარემოზე ზემოქმედებას და ხელს უწყობენ ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას. მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის სფერო მჭიდროდ უკავშირდება ბიოეკონომიკის კონცეფციას და ისეთ პრაქტიკას გვთავაზობს როგორიცაა: წყლისა და ენერგიის მოხმარების მინიმიზაცია, დაბინძურების შემცირება, განახლებადი და ადგილობრივი რესურსებისა და პროდუქტების გამოყენება, მყარი ნარჩენების შემცირება და ა.შ. ტურისტული კომპანიების კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მდგრადი განვითარებისა და ბიოეკონომიკის მიზნების მიღწევაში. განსაკუთრებით დიდი სასტუმროები, ბაზრის ზეწოლის გამო, უფრო მეტად უჭერენ მხარს ბიოეკონომიკის კონცეფციებს, რათა მათ მიიღონ დაინტერესებული მხარეებიდან მწვანე მიდგომა (Baros, Dávid, 2007). ავტორთა უმეტესობა ტურიზმს სხვა კონცეფციებთან ერთად განიხილავს. მაგ. ტყეზე დაფუძნებული კეთილდღეობის კონცეფცია. ზოგიერთი ავტორი (Stegmann, 2020; Holden, 2022) ასევე ახსენებს ცირკულარულ ბიოეკონომიკას, როგორც გაფართოებად კონცეფციას და მის კავშირს ბიოეკონომიკის კონცეფციასთან (Viaggi, Zavalloni, 2021).

გამოვყოფთ ტურიზმის ფორმებს, რომელიც ბიოეკონომიკის პრინციპებს ეთანხმება: მდგრადი ტურიზმი - ეკოლოგიურად, ეკონომიკურად და სოციალურად პასუხისმგებელი მოდელი; ეკოტურიზმი - ბუნების დაცვისა და საგანმანათლებლო მიზნების ერთიანობა; სოფლის ტურიზმი - მცირე მასშტაბზე ორიენტირებული, აგროკულტურაზე დაფუძნებული აქტივობები; აგროტურიზმი რომელიც პირდაპირი გამოხატულებაა ბიოეკონომიკის განვითარებისთვის. ასევე, ბიოეკონომიკის კონცეფციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ტურიზმის რამდენიმე მიმართულება:

- ეკო-გასტროტურიზმი: აქცენტი კეთდება მდგრად კულინარიულ გამოცდილებაზე, სადაც ტურისტები უშუალოდ მონაწილეობენ პროდუქტის წარმოებაში (მაგ. ღვინის გზები, ფერმერული მეურნეობები).
- აგროტურიზმი**:** ფერმებში სტუმრობა, სადაც დანერგილია რეგენერაციული სოფლის მეურნეობის პრინციპები.
- ტყეზე დაფუძნებული ტურიზმი: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება დასვენებისა და რეკრეაციისთვის, რაც ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.

**მეთოდები.** ნაშრომში ვიყენებთ თვისებრივი კვლევის მეთოდებს, რომელიც მოიცავს ერთი მხრივ ღია წყაროებში წარმოდგენილი ანალიტიკური მასალის დამუშავებას, მეორე მხრივ ტურიზმის ღირებულების ჯაჭვის სხვადასხვა მხარეებთან განხილვის საკითხებს. სამაგიდო კვლევის ფარგლებში გავაანალიზეთ რელევანტური ლიტერატურა, პუბლიკაციები, ანგარიშები, სტრატეგიები, კონცეფციები და სხვა. შედარებითი მეთოდით დავადგინეთ საქართველოსა და ევროპის ქვეყნების მოდელების მსგავსება-განსხვავება.

**მსჯელობა.** მდგრადი ტურიზმის ბაზარი 2026 წელს 2.3 ტრილიონ აშშ დოლარად არის პროგნოზირებული და მოსალოდნელია, რომ 2036 წლისთვის 17.8 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწევს, რაც 22.6%-იან CAGR-ს (Compound Annual Growth Rate) ასახავს. Future Market Insights-ის თანახმად, ეს გაფართოება განპირობებულია მოგზაურთა ქცევის ფართო ცვლილებით მოგზაურობის მოდელებისკენ, რომლებიც უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას, სოციალურ წვლილს და დანიშნულების ადგილის გრძელვადიან მართვას. მდგრადობა სულ უფრო მეტად ხდება მოგზაურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ძირითადი კრიტერიუმი და არა დამატებითი ფაქტორი, რაც გავლენას ახდენს განთავსებაზე, ტრანსპორტზე, ტურებსა და დანიშნულების ადგილზე არსებულ გამოცდილებაზე (Market Forecasts and Trends, 2026-2036).

ევროპის ქვეყნების ბიოეკონომიკის სტრატეგიებში ტურიზმის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვნია. ფინეთის ტურიზმის სტრატეგია ბიოეკონომიკის სტრატეგიის ეროვნული კონცეფციის ნაწილია. ფინეთში ტურიზმი განიხილება როგორც ტყის ეკოსისტემის სერვისის ნაწილი და ეყრდნობა ველნესსა და ბუნებაზე დაფუძნებულ აქტივობებს. ეკოსისტემური სერვისები მოიცავს ტურიზმის სფეროს და შემდგომი განვითარების პოტენციალს ქმნის. ფინეთი ხედავს ახალი ბიზნეს მოდელების შესაძლებლობებს ბუნების (მიწის, ტყეების და ჰაერის) და ბუნებრივი პროდუქტების კომბინაციაში და ტურიზმს ახალ ფორმებში (მაგ. ჯანმრთელობის ტურიზმი) განიხილავს. ბუნების ტურიზმის იტალიური კონცეფცია ეფუძნება მდგრადობასა და პასუხისმგებლიან მოგზაურობას, რაც გულისხმობს გარემოზე მინიმალურ ზემოქმედებას და ბუნებრივი თუ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. ასეთი მიდგომა აერთიანებს ეკოლოგიურ დაცვას, ადგილობრივი თემების ეკონომიკურ მხარდაჭერას და ტურისტების ჩართვას ტრადიციული სოფლის ცხოვრებაში. ტურისტებს საშუალება აქვთ იცხოვრონ მოქმედ ფერმებში, გაეცნონ სოფლის მეურნეობას და მიიღონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები. ადგილობრივი წარმოება- აქცენტი კეთდება „ნულოვანი კილომეტრის“ პრინციპზე, რაც საკვების ტრანსპორტირებით გამოწვეული გამონაბოლქვის შემცირებას ემსახურება. იტალიამ შეიმუშავა უნიკალური კონცეფციები, რათა თავიდან აიცილოს ახალი მშენებლობები და ბუნებრივი ლანდშაფტის დაზიანება. ბიოეკონომიკურ შესაძლებლობებს შორის განხილულია ეკოტურიზმის და ბუნებრივ რესურსებზე დაფუძვნებული აქტივობების განვითარება, რომლებიც დაკავშირებულია ეკოსისტემებთან, სანაპიროსთან და ა.შ.

სლოვენიური ბიოეკონომიკის კონცეფცია ასახულია ქვეყნის რამდენიმე სტრატეგიაში, რომლებშიც აქცენტი კეთდება მდგრად ტურიზმსა და ეკოტურიზმზე, რომელიც ეხება ცხოვრების მრავალ სფეროს (საკვები, ტყეზე დაფუძნებული ღირებულებათა ჯაჭვი, ველოსიპედით სეირნობა და ა.შ.). საინტერესო აქცენტი კეთდება მდგრად ტურიზმზე, სადაც IT-ზე დაფუძნებული მარკეტინგი

და ქსელური კავშირები ხელს უწყობს მიწოდებული მომსახურების ხარისხის გაზრდას. სლოვაკური გაგებით, ტურიზმი აღიქმება, როგორც რეგიონული განვითარების ნაწილი. ის ეფუძნება სლოვაკეთის ბუნებრივ და კულტურულ-ისტორიულ პირობებს. იგი ხაზს უსვამს ბუნებასთან დაკავშირებულ კონცეფციებს (ტყე-მეურნეობა, ბუნების დაცვა, გარემოსდაცვითი განათლება), კულტურულ-ისტორიულ განზომილებას და ტურიზმის კონცეფციას, როგორც მშპ-ს ზრდის მნიშვნელოვან წვლილს (Rinn, Kalábová, Jarský, 2023).

გერმანიის ტურიზმის კონცეფცია ეფუძნება მდგრადობას, ბიომრავალფეროვნების დაცვასა და რეგიონულ განვითარებას, სადაც ტურიზმი განიხილება არა მხოლოდ ეკონომიკურ დარგად, არამედ ბუნების კონსერვაციის ინსტრუმენტად. ქვეყნის სტრატეგია მიზნად ისახავს 2045 წლისთვის კლიმატური ნეიტრალიტეტის მიღწევას და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. გერმანიის ეროვნული ტურიზმის სტრატეგია ფოკუსირებულია სამ ძირითად მიზანზე: ეკონომიკური ზრდა: ადგილობრივი დამატებული ღირებულების გაზრდა, განსაკუთრებით სტრუქტურულად სუსტ სოფლის რეგიონებში. ცხოვრების ხარისხი: მოსახლეობისთვის დასვენებისა და რეკრეაციის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა. ეკოლოგიური პასუხისმგებლობა: ბუნებისა და კლიმატის დაცვა, რაც გულისხმობს რესურსების დაზოგვასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას (Making Tourism More Sustainable, Progress Report, 2023).

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, მაგალითად ჩინეთს აქ ბიოეკონომიკის ღირებულება 2025 წლის ბოლოსთვის 3.3 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ეს ქვეყანა ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიურ ბიოინდუსტრიაზე. 2024 წელს ბრაზილიამ, როგორც G20-ს (მსოფლიოს წამყვანი განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკების უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ფორუმი, რომელიც შედგებოდა 19 ქვეყნისგან, ევროკავშირისა და აფრიკის კავშირი) წამოაყენა ბიოეკონომიკის გლობალური ინიციატივა, რომელიც ეფუძნება მაღალი დონის პრინციპების ცოდნისა და ბუნების კომბინაციით წარმოების ახალ პარადიგმებს, სადაც ტურიზმის როლი მნიშვნელოვანია (World Economic Forum, 2025).

თანამედროვე მსოფლიოში, ორი ათეული წლის განმავლობაში, განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ეკონომიკური ზრდის კორელაცია გარემოს დაბინძურებასა და ბუნებრივი რესურსების მარაგების ამოწურვასთან, ასევე კლიმატის ცვლილებებით განპირობებულ ნეგატიურ ზემოქმედებასთან გარემოზე, რომელიც უახლოეს მომავალში ვეღარ უზრუნველყოფს მომავალი თაობების ჯანსაღ ბუნებრივ პირობებში არსებობას. ამიტომ ეკონომიკის მდგრადი განვითარების შენარჩუნება, უკავშირდება ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას, ბიოეკონომიკის სტიმულირებასა და მწვანე გადასახადების შემოღებას. ბიოეკონომიკის მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მწვანე გადასახადების შემოღება ქვეყანაში ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის განვითარების სტიმულირებას, გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის შეფერხებას, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევას, ბუნებრივი რესურსების ეფექტიან მართვას და არაგანახლებად რესურსებზე დამოკიდებულების შემცირებას (ვერულიძე, 2021).

ბიოეკონომიკის ძირითადი იდეა ეს არის ბუნებისადმი სამომხმარებლო დამოკიდებულებაზე უარის თქმა. ბიოეკონომიკის ძირითად ობიექტად უნდა იქცეს ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემა და მატერიალური ბალანსი მის ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ქვესისტემებს შორის. ბიოეკონომიკის წყალობით მაკროეკონომიკა შეიძლება შეტანილ იქნას, დედამიწის ბუნების ეკონომიკაში. ეკოლოგიური პრობლემების ზრდის გაცნობიერების შედეგად დასავლურ მეცნიერებაში წარმოიშვა ტერმინი „მწვანე ეკონომიკა''. UNEP-ის განმარტებით, ბიოეკონომიკა პირველ რიგში უნდა იყოს მიმართული ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებისკენ და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისკენ, ამასთან ხასიათდებოდეს გარემოს რისკების შემცირებითა და ბუნებრივი რესურსების გამოლევის თავიდან აცილებით (ბერიშვილი, 2013).

საქართველოს ბუნებრივი რესურსები ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და ქვეყნის მდგრადი განვითარების საფუძველია. სამწუხაროდ, მათ არარაციონალურად, არაეფექტიანად ვიყენებთ. რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი კომპეტენტური სახელმწიფოებრივი რეგულირების მიღმა დარჩა (ჭითანავა, 2023).

მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე, საქართველოში სათანადოდ არ არის შეფასებული, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების მარაგების ამოწურვის მოსალოდნელი შედეგი, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ან საბოლოოდ შეაჩერებს ეკონომიკის შემდგომი განვითარების შესაძლებლობები, შესაბამისად მოქმედი საგადასახადო სისტემა არ ითვალისწინებს ქვეყნის ეკოლოგიურ ინტერესებს. ამასთანავე, საქართველოში არსებული ეკოლოგიური პოლიტიკა ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, რასაც ადასტურებს ეკოლოგიური ეფექტიანობის მსოფლიო ინდექსი. 2024 წლის მონაცემებით წარმოდგენილ კლასიფიკაციაში 77-ე პოზიციაზეა 47,3 ქულით (Environmental Performance Index, 2024). რაც შეეხება, SDGs-ს მიღწევას, ბოლო მონაცემებით საქართველომ 74,91 ქულით 166 შეფასებული ქვეყნიდან 43-ე ადგილი დაიკავა 17 SDG-ის მიღწევისკენ მთლიანი პროგრესის მიხედვით. აგრეთვე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გავლენის შეფასებით, საქართველომ 88,16 ქულით, 166 შეფასებული ქვეყნიდან 96-ე ადგილი დაიკავა საერთაშორისო რეიტინგში (SDG Transformation Center, 2024). სხვადასხვა თვალსაზრისით საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევა დღემდე გამოწვევად რჩება. ბიოეკონომიკაზე დაფუძვნებული ტურიზმის ახალი კონცეფცია, შესაძლოა გახდეს კატალიზატორი მდგრადი განვითარების მიზნების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური გამოწვევების, აქტუალური პრობლემების გადაჭრის ეფექტური გზა.

საქართველოში ამჟამად არ არსებობს ერთიანი, დამოუკიდებელი დოკუმენტი „ბიოეკონომიკის კონცეფცია“, თუმცა ბიოეკონომიკის პრინციპები ინტეგრირებულია (Horizon Europe) რამდენიმე სახელმწიფო სტრატეგიაში. აღსანიშნავია, რომ საქართველო ჩართულია ევროპულ ინიციატივებში, რომლებიც მიზნად ისახავს ბიოეკონომიკის სტრატეგიების განვითარებას ასოცირებულ ქვეყნებში. საქართველოს ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიაში და საგზაო რუკაში გვაქვს ჩანაწერი: საქართველო მიზნად ისახავს 2050 წლისთვის გახდეს რეგიონული ლიდერი ცირკულარულ ინოვაციებში. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია (2021–2027) კი ფოკუსირებულია მდგრად სოფლის მეურნეობაზე, რაც შეიძლება ითქვას ბიოეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. რესურსების ეფექტური გამოყენება, ბიომრავალფეროვნებაზე დაფუძნებული ტურიზმი, ეკოტურიზმის და მდგრადი განვითარების სტრატეგიებში იკითხება.

ვფიქრობთ ტურიზმი უნდა განიხილებოდეს ჰოლისტური მიდგომით, რომელიც უნდა აერთიანებდეს რეგიონის, მისი ხალხის, ბუნებისა და პროდუქტების საუკეთესო მხარეებს, ბიოეკონომიკაზე დაფუძვნებული ტურიზმი ახალი ბიზნეს მოდელებით და ღირებულების ქსელების შექმნით. კლასტერებს, როგორც მრავალი საწარმოს წარმომადგენლებს აერთიანებს, შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ტურიზმის სექტორსა და ბიოეკონომიკას შორის ინოვაციური პარტნიორობის ხელშეწყობაში ახალი ღირებულებათა ჯაჭვების შექმნით, რადგან ისინი მდგრადი პარტნიორები არიან და უზრუნველყოფენ მოდერნიზაციას ტურიზმის ინდუსტრიაში. ამ თვალსაზრისით პრაქტიკასა და პოლიტიკაში გატარებული ცვლილებები გამოიწვეს გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის შემცირებას და მოუტანს უფრო მეტ ეკონომიკურ სიძლიერეს.

ბიოეკონომიკის კონცეფცია კავშირშია ეკოტურიზმსთან, რომელიც ბუნებასთან და მის რესურსებთან მიმართებაში ყველაზე ხშირად გამოიყენება. ეკოტურიზმი აღარ არის ნიშური სეგმენტი - დღეს უკვე გლობალური ბაზარია. საერთაშორისო კვლევითი კომპანია Fortune Business Insights-ის თანახმად, ეკოტურიზმის გლობალური ბაზარი სწრაფი ტემპით იზრდება, 2025 წელს მისმა მოცუ-

ლობამ დაახლოებით 295 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. პროგნოზი კიდევ უფრო ამბიციურია 2034 წლისთვის, ბაზარმა შესაძლოა 1 ტრილიონ დოლარს გადააჭარბოს, საშუალო წლიური ზრდის ტემპით დაახლოებით 16%. მოთხოვნა იზრდება ბუნებაზე დაფუძნებულ გამოცდილებაზე, ინვესტორები და ტუროპერატორები ხედავენ სტაბილურ ზრდას, ევროპა ლიდერ რეგიონად რჩება, თუმცა ამ მხრივ აზია-წყნარი ოკეანის ბაზარი სწრაფად ვითარდება. ეკოტურიზმი ხდება არა მხოლოდ დასვენება, არამედ ღირებულებებზე დაფუძნებული არჩევანი. გლობალური ტრენდი აჩვენებს, რომ მოგზაურები ეძებენ: ბუნებასთან ავთენტურ კავშირს, აქტიურ გამოცდილებებს, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას, ადგილობრივი კულტურის სიღრმისეულ გაცნობას. თუ დღეს ეკოტურიზმის ბაზარი გლობალურად ასეთ მასშტაბს აღწევს, მთავარი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: შეუძლია თუ არა საქართველოს ეკოტურისტული პროდუქტების სტრუქტურირება ისე, რომ ამ მზარდ გლობალურ ბაზარში კონკურენტული ადგილი დაიკავოს.. საქართველოს აქვს უნიკალური ბუნებრივი და კულტურული რესურსი.

თანამედროვე პერიოდში ბიოეკონომიკაზე დაფუძნებული ტურიზმი სცილდება ტრადიციულ ეკოტურიზმს და მოიცავს ასპექტებს: ბიომასალების გამოყენება, მაგალითად სასტუმროებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა განახლებადი მასალებით. ცირკულარული მიდგომა: საკვები ნარჩენების კომპოსტირება, წყლის ხელმეორედ გამოყენება და ბიოენერგიის (ბიოგაზი, მზის ენერგია) გამოყენება ტურისტულ ობიექტებში. ადგილობრივი ბიორესურსები: ტურისტებისთვის ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შეთავაზება, რაც აძლიერებს რეგიონულ ეკონომიკას და ამცირებს ტრანსპორტირების ნახშირბადის კვალს.

ახალ სტრატეგიაში ჩვენი ქვეყნისთვის ევროპის სატყეო სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელ საჭიროებად ჩაითვალა ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების დასახვა როგორიცაა ტყის რესურსების და ეკოსისტემური სერვისების შეფასება და ტყის არამერქნულ პროდუქტებზე დაფუძნებული ბიოეკონომიკის, მათ შორის ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; მდგრადი ბიოეკონომიკის განსავითარებლად დამატებითი ღირებულების ტყის პროდუქციის წარმოების და გადამუშავების ხელშეწყობა; ტყის მდგრად მართვაზე დაფუძნებული ბიოეკონომიკის განვითარებისთვის შესაბამისი უნარების და ცოდნის გაღრმავება; ტყის ბიომრავალფეროვნების შემცირების პროცესის შენელება, მდგრადი და მრავალფუნქციური ტყის ეკოსისტემების უზრუნველყოფა და სხვ. აღნიშნულის განხორციელება კი ეროვნულ დონეზე, ბიოეკონომიკის კონცეფციის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. (Safeguarding forest resources in Georgia, Green Economy in Eastern Partner Countries, 2025).

მრავალი ორგანიზაციის სტრატეგიაში გვხვდება თანამედროვე ფენომენი მდგრადი ტურიზმი, მდგრადი ტურიზმი ხასიათდება ეკოლოგიური გამძლეობით, ეკონომიკურად მომგებიანია, ეთიკურად და სოციალურად მისაღებია მოსახლეობისთვის. მდგრადი ტურიზმი იძლევა ბუნებრივი რესურსების აღდგენის შესაძლებლობებს და მნიშვნელოვანია მოსახლეობის სარგებელი ამ ფორმის ტურიზმით. მდგრადი ტურიზმი არის გზა, რომელიც გარკვეულ პირობებში შეიძლება აერთიანებდეს ტურიზმის უმეტეს ფორმებს. გლობალური მდგრადი ტურიზმის საბჭოს (GSTC) მიერ დადგენილია მდგრადობის სტანდარტები ტურიზმში და განიხილება ოთხი ძირითადი საყრდენი: მდგრადი მენეჯმენტი, სოციალურ-ეკონომიკური გავლენა, კულტურული გავლენა და გარემოზე ზემოქმედება. ასევე, განიხილება მწვანე ტურიზმი (Law, Delacy, McGrath, 2017), რომელიც მცირე მასშტაბის ტურიზმს გულისხმობს, არის ბუნებრივ ადგილებში მოგზაურობა გარემოზე მინიმალური ზემოქმედებით.

**დასკვნები.** შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიოეკონომიკაზე დაფუძნებული ტურიზმი არის ტურიზმის ინოვაციური კონცეფცია, რომელიც იწვევს ეკონომიკური სარგებლის მაქსიმიზაციას განახლებადი და ბიოლოგიური რესურსების გრძელვადიანი მდგრადი გამოყენებით, ბუნებრივი გარემოს

პატივისცემის პრაქტიკის გამოყენებით და ამ რესურსების ფლანგვის შეზღუდვით. მდგრადი ტურიზმისკენ სწრაფვა არ არის წარმავალი ტენდენცია, არამედ გლობალური სტრატეგიული პრიორიტეტია. შესწავლამ ცხადყო, რომ ბიოეკონომიკა პრიორიტეტული მიმართულებაა ტურიზმის სხვადასხვა ევროპულ სტრატეგიებში. საქართველოში ამჟამად არ გაგვაჩნია „ბიოეკონომიკის კონცეფცია“, თუმცა, ბიოეკონომიკის პრინციპები ინტეგრირებულია სხვადასხვა დოკუმენტებში, სასურველია გააზრება და ინტეგრაცია ტურიზმის დარგში. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ტურიზმის ორგანიზაციამ გამოფენა (FITUR) 2026-ის დღის წესრიგში ერთ-ერთ ცენტრალურ თემად მდგრადობა შეიტანეს, რითაც ხაზგასმით აღნიშნეს უფრო ეფექტური, მდგრადი და გრძელვადიანი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის მომტანი მდგრადი ტურიზმის პრაქტიკებისკენ გადასვლის აუცილებლობა. ეკონომიკის სფეროზე ტურიზმის წვლილისა და მზარდი გავლენის გამო, ტურიზმს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მდგრადი განვითარების უნივერსალური 2030 წლის დღის წესრიგის წინსვლაში, მათ შორის ბიოეკონომიკის პრინციპების გამოყენებაში. მდგრადი მომავლისკენ გადასვლა უფრო მეტად დამოკიდებულია ბიოეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე. ვფიქრობთ ამაში როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ. ამავდროულად, კერძო სექტორის სუბიექტებს, მათ შორის ტურიზმის ინდუსტრიების ინტერესთა ჯგუფებსა და კომპანიებს, აკისრიათ მნიშვნელოვანი ამოცანა, დაიცვან ეს პირობები და ხელი შეუწყონ ბიოეკონომიკის ზრდას აქტიური ჩართულობის, სტრატეგიული ბიზნეს გადაწყვეტილებების, კაპიტალური ინვესტიციების და ბაზარზე ბიოზე დაფუძნებული ინოვაციების შემოტანის გზით. თანამედროვე გამოწვევების გადასაჭრელად, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი რესურსების დეფიციტი და გარემოს არამდგრადი მოხმარება, საჭიროა ტრანსფორმაციული ცვლილება, რომელიც მოიცავს გრძელვადიან მდგრად მიდგომებსა და ურთიერთქმედებას საზოგადოების ყველა დონეზე. „მომავალ თაობებს ჩვენ დავესესხეთ „ეკოლოგიურ კაპიტალს“, თუმცა, სამწუხაროდ, ვალის დაბრუნება უკვე აღარ ძალგვიძს“. ამონარიდი გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიის (WCED) ბრუნდტლენდის ანგარიშიდან „გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისია“.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


ბერიშვილი, ხ. (2013). ბიოეკონომიკის როლი გლობალური ბიზნესის განვითარებაში. ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება, თსუ. II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. შრომების კრებული. თბ.

ვერულიძე, ვ. (2021). მწვანე გადასახადები, ბიოეკონომიკა და საქართველოს აგრარული სექტორის მდგრადი განვითარება, ეკონომიკა და ბიზნესი, №4.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია. https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395

ჭითანავა, ნ. (2023). ბიზნესი და კანონმდებლობა. ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ინტეგრირებული მართვის პრობლემები. https://doi.org/10.52340/bal/2023.02.01

Baros, Z., Dávid, L. (2007). Environmentalism and sustainable development from the point of view of tourism. Tour. Int. Multidiscip. J. Tour. 2.

De Besi M., McCormick, K. (2015). Towards a Bioeconomy in Europe: National, Regional and Industrial Strategies. *Sustainability*. *7*(8), 10461-10478; https://doi.org/10.3390/su70810461

Bioeconomy Strategy. (2025). Replacing fossil-based resources with sustainable biological ones for a circular, climate-neutral economy. https://environment.ec.europa.eu/strategy/bioeconomy

Environmental Performance Index. SDG Transformation Center, (2024). https://epi.yale.edu/country/2024/IND#:~:text=Table_title:%20India%20Table_content:%20header:%20%7C%20%7C%20rank,%7C%20rank:%20108%20%7C%20Score:%201.9%20%7C

Law,A., Terry, D., McGrath, M. (2017). A green economy indicator framework for tourism destinations January 2017Journal of Sustainable Tourism 25(4). DOI: 10.1080/09669582.2017.1284857
https://www.researchgate.net/publication/315769830_A_green_economy_indicator_framework_for_tourism_destinations
Making Tourism More Sustainable. Progress Report. (2023).
www.germany.travel/media/en/pdf_5/FB_23_DE_barrierefrei.pdf
Market Forecasts and Trends, (2026-2036). Sustainable Tourism Market Size and Share Forecast Outlook 2026 to 2036.
https://www.futuremarketinsights.com/reports/sustainable-tourism-sector-overview
Rinn, R., Kalábová, M., Jarský, V., (2023). Bioeconomy-based tourism: A new concept responding to the support of bioeconomy. Frontiers in Environmental Science. 10.3389/fenvs.2023.1122440
Viaggi, D., and Zavalloni, M. (2021). Bioeconomy and circular economy: Implications for economic evaluation in the post-COVID era. Circular Econ. Sustain. 1, 1257–1269. doi:10.1007/s43615-021-00113-1
Sustainable Development Report (2025). Financing Sustainable Development to 2030 and Mid-Century
https://sdgtransformationcenter.org/reports/sustainable-development-report-2025
Stegmann, P., Londo, M., and Junginger, M. (2020). The circular bioeconomy: Its elements and role in European bioeconomy clusters. Resour. Conservation Recycl. X 6, 100029. doi:10.1016/j.rcrx.2019.100029
Safeguarding forest resources in Georgia, Green Economy in Eastern Partner Countries, (2025).
https://www.eu4environment.org/news/safeguarding-forest-resources-in-georgia
Towards a Bioeconomy in Europe: National, Regional and Industrial Strategies. Matteo De Besi an dKes McCormick.
The 2025 EU Bioeconomy Strategy. https://environment.ec.europa.eu/strategy/bioeconomy-strategy/bioeconomy-factsheet_en
World Economic Forum, (2025).
https://www.weforum.org/stories/2025/11/g20-summit-what-you-need-to-know